პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
ქალაქი ქუთაისი ----------2022 წელი

,,ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,მადლისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ" თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 10 ოქტომბრის №1080 ბრძანების საფუძველზე 2013 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებულ ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების №50 საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის ,,დ.დ" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის ---დეკემბრის № ----------წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს შეიტანოს ცვლილება ,,ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,მადლისათვის" (საიდენთიფიკაციო კოდის №404453480) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის შესახებ" თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 10 ოქტომბრის №1280 ბრძანების საფუძველზე 2013 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებულ ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების №50 საიჯარო ხელშეკრულებაში, კერძოდ:

1. ხელშეკრულების მე-4 მუხლს დაემატოს 4.5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4.5 საიჯარო ქირის გადახედვა მოხდეს 2017 წლის 13 ოქტომბრის №56 ცვლილების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის შემდგომ, მაგრამ არაუგვიანეს 2023 წლის 31 ოქტომბრისა.

2. ხელშეკრულების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,მუხლი 5. ამ ხელშეკრულებით თვითმმართველი ერთეულის ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,მადლს" სარგებლობაში გადაეცემა 2026 წლის 31 დეკემბრამდე. იჯარის ვადა აითვლება მხარეთა მიერ ცვლილების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ, საჯარო რეესტრში რეგისტრაციის თარიღიდან."

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა, იოსებ ხახალეიშვილმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

„ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მადლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 10 ოქტომბრის №1080 ბრძანების საფუძველზე 2013 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებულ ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული
ქონების №50 საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის

განმარტებითი ბარათი

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 10 ოქტომბრის №1280 ბრძანებით, იმ პერიოდისათვის მოქმედი საკანონმდებლო დანაწესების გათვალისწინებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მადლს“, 7 (შვიდი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაეცა, სამართლებრივი აქტის დანართით განსაზღვრული, 20 /ოცი/ ერთეული, ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, პროდუქციის სარეალიზაციო მაღაზიების მოწყობის მიზნით. 2013 წლის 10 ოქტომბერს, მერიის შესაბამის სამსახურსა და დაინტერესებულ მხარეს შორის, გაფორმდა ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების საიჯარო ხელშეკრულება №50. ორმხრივი შეთანხმებით განისაზღვრა ურთიერთობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, მხარეთა უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობის ზომები ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში და სხვა. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, მხარეებს შორის დაიწყო სამართლებრივი დავა, რომელიც 2016 წლის 4 თებერვალს დასრულდა უზენაესი სასამართლოს განჩინებით. საკითხის სასამართლოში განხილვის შედეგად, ბათილად იქნა ცნობილი თვითმმართველი ქალაქ - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 6 მარტის №251 ბრძანება „თვითმმართველი ქალაქ - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 10 ოქტომბრის №1280 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე“, ასევე, ბათილად იქნა ცნობილი მერის 2014 წლის 17 მარტის №117 ბრძანება „ქალაქ ქუთაისში იაფი პროდუქტების სარეალიზაციო მსუბუქი კონსტრუქციების /ჯიხურების/ დადგმის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მერის 2013 წლის 24 ოქტომბრის №01-8273 დასტურისა და თვითმმართველ ქალაქ - ქუთაისსა და შპს „მადლს“ შორის 2013 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებული №50 საიჯარო ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ“ და ადმინისტრაციულ ორგანოებს დაევალათ, გადაწყვეტილებაში მითითებულ გარემოებათა გამოკვლევის შემდეგ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალაში დარჩა. სამართლებრივი დავის შედეგად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 19 სექტემბერს გამოცემულ იქნა №4560 განკარგულება „ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მადლისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 10 ოქტომბრის №1080 ბრძანების საფუძველზე 2013 წლის 10 ოქტომბერ გაფორმებულ ქალაქ ქუთაისის საკუთრებაში არსებული ქონების №50 საიჯარო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“, რომლის საფუძველზე 2017 წლის 13 ოქტომბერს მხარეებს შორის გაფორმდა №56 ხელშეკრულება. ორმხრივი შეთანხმებით, ცვლილება განიცადა მხარეთა შორის 2013 წელს გაფორმებულმა №50 საიჯარო ხელშეკრულებამ, კერძოდ, დაწესდა ხელშეკრულების ახალი 6 /ექვსი/ წლიანი ვადა, რომლის ათვლა 2017 წლის ოქტომბრიდან - ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან დაიწყო. 2017 წლის 9 აგვისტოს, მხარეებს შორის გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც, შპს „მადლმა“ მუნიციპალიტეტს დაუბრუნა, სარგებლობის ხელშეკრულებით გადაცემული 4 /ოთხი/ ერთეული მიწის ნაკვეთი. 2021 წლის 22 ოქტომბერს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას წერილობითი განცხადებით

(№10/4421295294-44) მომართა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,მადლის" დირექტორმა. განცხადების თანახმად, სარგებლობის უფლებით გადაცემულ რამოდენიმე ლოკაციაზე, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, დროულად ვერ მოხერხდა განსათავსებელი ჯიხურების ესკიზების შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან შეთანხმება.

შპს ,,მადლის" წარმომადგენელმა ითხოვა მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაზრდა 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, მოცემული ინდივიდუალური ხასიათის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების მთავარ მიზანს წარმოადგენს, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, ორმხრივი შეთანხმებისას აღებული ვალდებულების შესრულება, როგორც სამართლებრივი, ასევე საზოგადოებრივი საჭიროების, სამომავლო პერსპექტივისა და ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის უზრუნველყოფის მიზნების გათვალისწინებით.

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, მირზა მამასახლისი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი